



გაზეთი ღირს: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან. 50 კ. ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ. ერთი თვით—80 კ. გამომწერა შეიძლება თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: რეკლამები: ტრიკონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ. უკანასკნელზე—10 კ. სამუდებოა განცხადების დაბეჭდვა თითოეული სადამის 5 ს-მდე 8 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასახელები განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დღის 9 ს. საღამომ 2 საათამდე და სადამის 5—6 საათამდე. კვირა-უკმებში დღის 11—12 საათამდე. ხელმოწერა რელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს რედაქციის ანგარიშს და მათ შესახებ არავითარ მიწერა-მოწერას და მოლაპარაკებას არ ქნის რედაქციის ინსპექტორი ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხოვნები. პრინციპულად წერილებზე განმარტება შესახებ საჭიროა წინადაწინ მოლაპარაკება. წერილობით პასუხისათვის პასუხისმგებელი მანკაძე წერილები სუფთად უნდა იქნეს დაწერილი ცალ გვერდზე და ავტორის სრული ვინაობით. რედაქცია საჭიროთ დინახავს, წერილს შეასწორა-შეამოკლებს. ადრეის გამოსაცემლოთ საჭიროა ორი ანაზღაურება. ფულის გამოსახვა ადრეის: თბილისი, ტიპოგრაფია „Сорапаны“, Калистрату Константиновичу Цуладзе.

რედაქციის ადრეისი: რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ყოველ-დღიური საკომლიტიკო და სალიტიერატურო გაზეთი

ჩანები

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უკმის მეორე დღეებისა

გაზეთი ღირს:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ

3 თვით—2 მან. 50 კაპ.

1 „ — — 90 „

თფილისში

3 თვით—2 მან. 20 კაპ.

1 „ — — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან—მართი შაური

რედაქციის ადრეისი:

რუსის ქუჩა, სახლი № 3 ზემო სართულში.

ფულის გამოსახვა ადრეისი:

თბილისი, ტიპ. „Сорапаны“, Калистрату Конст. Цуладзе.

პოლიტიკური აზროვნების ეკონომიკა

(მოკლე კურსი ეკონომიკურ მეცნიერებისა).

სკელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც სკელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაუბრებლად არ გამოვა.

ერთხელ კიდევ მოგაგონებთ მათ, ვისაც სხეულებული წიგნის შექმნა სურს დანიშნულ დრომდე მოაწერონ ხელი აგენტებთან.

გ. ვალიაძე.

გაიხსნა ახალი თფილისის პირამო სამაგურნალო

ღია ყოველდღე მისიარულ ავთომოფთათვის. ვაგონის ქ. 8; ს. უნივერსიტეტისა (ტელეფონი 895).

ქ. ბ. ვ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშაბათსა და კვირას 11—12 საათამდე შინაგანი და ბაგეშებისა.

ქ. ბ. ვ. დამბაშვი: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბაგეშ. ავთომ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ქ. ბ. ა. ი. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირას 12—1 ს.; ყველის, ცხვირის და ყურის ავთომ.

ქ. ბ. მ. მ. მკარაძე: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ქ. ბ. ა. ნ. დიხაძე: ყოველ დღე 11 1/2—12 1/2 ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავთომ.

ქ. ბ. მ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ბ.; დედათა და ქორუგ. ავთომ.

ქ. ბ. ა. ვ. ვაშაძე: ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგანი და ბაგეშ. ავთომ.

ქ. ბ. გ. მ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღე გარდა 2—2 1/2 ს.; თვალის ავთომ. მიკროსკოპული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყველის აცრა და ძიებით გასინჯვა.

ფსიქიკური მკურნალობის 50 კაპ., ოპორაციები და კონსულტაციები მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—24

ქაილის თაიში

ი. შ. ჯანტურია

იღებს ავთომოფთებს დღით 7—9 ს. საღამომ 4—8 ს.

კვირა-უკმე დღეს 9—1 საათამდე. ავტოლის № 71 (კვირის ქუჩის ახლოს)

აბასთუმანში

გეიდაის ქუჩაში

სამსკონ ვაშაშვიდი

იღებს ავთომოფთებს ყოველდღე მარია-მოხისთვის გასულამდე. დანა ტერ-მარკა-როვისა № 42.

დ. სამტრედიანი

საქმიანო კაბინეტი ქორუგოვულ ავთომოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ვგ. ჯანაშია. ავთომოფთების მიღება ყოველ დღე.

ბორჯომში

მინერალურ წყლების პარკში ხუთ-შაბათს, ამ თვის 30-ს

გაიხსნა ახალი ბორჯომის ბაიბარეთის დიდი სახალხო სეირნობა და კონცერტი

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახარებლოთ.

საბაგეშო სათამაშოები, ცხოველი სურათები ბაგეშების მონაწილეობით, ბედის ქვევრი, ფოსტა, კონფეტები, სერპანტინი, საზანდარი, კონცერტი, ცეკვა, ბუფები ბაგეშებისთვის.

ფასი: ბაგეშებისთვის 15 კ. დიდებისთვის 25 კაპ., კონცერტზე შესვლის 50 კ. (2—2)

დასაწყისა 4 ს.

თფილისი, 30 ივლისი

შეცემაში გრანდიოზული მუშათა გაფიცვა გაჩაღებული. ყველა ასოთ-ამწეობებმა და სხვა სტამბის მომუშაებებმა შესწყვეტეს მუშაობა, არ მოქმედებს სტოკ-ჰოლში ქალაქის რკინის გზა, შეწყვეტილია საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა. ასეთი გენერალური გაფიცვა იქნება უკანასკნელ დროს ხშირი მოვლენათა იქცა, მაშინ, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინეთ, იგი თითხე ჩამოსაფლელი იყო. აღსანიშნავია, რომ ანარქისტ-ინდივიდუალები იმ თვითხევე განუწყვეტლოვ გაჰკიდენ გენერალურ გაფიცვას, მარა ასეთი გაფიცვების გამართვა და მისი მწყობრება, გრანდიოზული სახით ჩატარება მათ ერთხელაც არ მოუხერხებიათ. ეს დიდი საქმე იკისრეს იმ სოციალისტებმა, რომელთაც ანარქისტ-ინდივიდუალები მუშურ ბრძოლის უარყოფას აბრალებდნენ.

რა იყო ამის მიზეზი?

მიზეზი აშკარაა. ანარქისტების გაფიცვა ეს დიდი ბუნტია, არგ-დარევის მიხედვითა. ეს, ახალ წყობილებაში დაუყოფნელივ გადამყვანი საშუალებაა. ამასთანავე, იგი უმცირესობის თაოსნობით გამოწვეულია, მოხერხებული დაკრავა, რომელმაც უნდა სასწაული მოახდინოს. ამიტომ ს. დ.-ის იგი ათვალწუნებული ქონდა, მისი იდეაც კი, ნაკლებ გავრცელებული იყო. ანარქისტულმა ბუნტებმა დიდად შეუწყვეს ხელი ამ დიდი იდეის სახელის გატეხას. ს. დ.-ისთვის მუშათა ყოველ მოძრაობის ძალა—მისი ორგანიზაციულათ მოწყობა, ბრძოლის სიძლიერე—ორგანიზაციათა სიმადრე და მოშაბედა. ამიტომ მისი მთავარი ყურადღება ამ მოსამზადებელ მუშაობისკენ იყო მიქცეული. იგი უარყოფდა ამ გრანდიოზულ გალაშქრებას, სანამ ძალა არ შესწევდა. იგი ითმენდა და მოუთმენლობა ანარქისტულ ელემენტების სიცილითაც არ უარფიდა. უკანასკნელ წლებში მუშათა ორგანიზაციების ზრდა-განვითარებამ საშინელი სისწრაფით გასწია წინ, მუშათა კავშირებში ასიათასობით მუშამ მოიყარა თავი. რუსეთის რევოლუციონარულმა მოძრაობამ და გიგანტიურმა გაფიცვებმა დიდი მასალა შექმნეს მუშათა მასიური მოძრაობის ფორმათა შესასწავლოთ და დაანახვეს ფეხს, რომ ასეთი მოძრაობა შესაძლებელია. ამან ააფრთოვანა ევროპის მუშათა კლასიც და ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელ წლების განმავლობაში ხან ერთი, ხან მეორე ევროპის სახელმწიფოში მუშათა მასებში მთელ დარგში, ან მრავალ ერთმანეთთან დაკავშირებულ დარგებში ერთმანეთს იწყებენ ბრძოლას და საერთო ათავებენ. წინეთ ასეთ ბრძოლას უმთავრესათ მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის მნიშვნელობა ჰქონდა. უკანასკნელ დროს კი გახშირდა ეკონომიკური გენერალური გაფიცვები, გაფიცვები თანაგრძობისა და სხვა. თვით ცხოვრება და კაპიტალისტთა შეკავშირება იძულებული მუშების შეერთებული ძალი გაუწიონ წინააღმდეგობა. საერთოთ, მთელი დარგის მუშათა შეერთება, ეს ერთი მთავარი საკითხია მუშათა მოძრაობის და ევროპის მუშათა კლასმა გადაჭრა კიდევ ეს საკითხი. სოციალისტურმა პროლეტარიატმა თავისი ორგანიზაციული სიძლიერის წყალობით მალე შეითვისა და პრაქტიკულათ განახორციელა ის, რაზედაც ამათ ყვიროდენ ანარქისტები, მარა განახორციელა არა იმ აზრით და მნიშვნელობით, როგორც ეს ანარქისტებს სურდათ, არამედ თავის კლასობრივ ინტერესების მიხედვით. გენერალური გაფიცვა გადაიქცა არა ერთათ ერთ საშუალებათ სოციალურ გადაქმნისა, არამედ მის კლასობრივ ბრძოლის საშუალებათა სისტემაში შევიდა და იხმარება იმდენათ, რამდენათაც ამას საჭიროება მოითხოვს.

ტუმი მაშინვე დაეფასეთ, და თუ „ზაკავკაზი“ წაკითხულის რამე გაეგება, ვერ იტყვის, რომ ჩვენ ის მოგვეწონებოდა, მაშ, რას თხოულობს ჩვენგან „ზაკავკაზი“ მას უნდა, რომ ჩვენც იმ პირად კინკლაობაში ჩავებათ, რომელშიაც ის ჩაეფლა? ან იქნება ის წყინს, რომ ჩვენ თვით მისი საქციელიც დავგმეთ ყველა ამ მოკინკლავებთან ერთათ? რა გაეწყობა, ჩვენ ამ შემთხვევაში იმ აზრით ვებმძღვანელობდით, რომ

„ჩვენ, ურნალისტებს დაგვალბული გვაქვს მძიმე, მარა საპატიო საქმე—ზრუნვა ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფების და პეროდულ გამოცემების გაჯანმრთელებაზე.“ (საქ. № 142)

მარა ეს აზრი თვით „ზაკავკაზის“ რომ სისრულეში მოეყვანა, მაშინ ისეთ საზოგადოებრივ ინტერესებში, როგორც ნ. ივლისის მოხდა, მისი სახელი არ გაიხვრებოდა. მარა... სიტყვა სხვაა, საქმე სხვა, შუა უზის დიდი ზღვარია.

ამიტომ ზედმეტი „ზაკ.“ კათინაურები: „ცოდეს ჩანგმა“, რომ იმ ჯგუფის ღრსება და პატარსება, რომელიც მას თავის ორბანათ თვლის, ჩვენთვის: მტრათ ძვირფასია, რადგან ის—ეს ჯგუფი—ჩვენი საზოგადოების ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია.“ (საქ. № 142).

საკვირველია, თუ ამ გაზეთის ხელმძღვანელი ჯგუფის ღირსება ასე ძვირფასია, მაზე ასეთ ყალბ ბრალდებებს რაღაზე აყენებთ? ან იქნებ, ეს სიყალბის სიმართლეთ მოსაჩვენებელი მანქანაა?

ვინ იცის, კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების... „ზაკავკაზის“ კოკა კი, სიწმინდით ვერ დაიქანდებს.

დევანები

(პეტერბურგის დევანთა სააგენტოსაგან) 29 ივლისი.

ოსმალეთი

სტამბოლი. 27 ივლისს მფარველ სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განუცხადეს პორტს, რომ კანეაში საბერძნეთის დროშა არ აღეშობათავითა. მიღებულია ზომები ყველა იმ აქტების მოსასპობათ, რომლებმაც შესაძლოა სულთანის სუვერენიტეტი დაარღვიოს კრიტოსზე. სახელმწიფოები ვალდებულიათ ხდიან თავს დაციონ კუნძულზე სტატუს-კვო, არსებული წესები.

ოსმალეთის ფლოტი სმირნაში მივიდა, სადაც თავმოყრილია საქესპედიცია რაზმი, რომელიც კრიტოსზე უნდა გაიგზავნოს. სტამბოლიდან აქ მოვიდა სამხედრო ტრანსპორტი და ორი კონტრა-ნაღმოსანი გემი.

პარიზი. გავას დევანთა ატკობინებენ კანეიდან, რომ მფარველ სახელმწიფოების მოთხოვნამ, რათა ჩამოეხსნათ საბერძნეთის დროშა, აქ დიდი მღელვარება გამოიწვია. ყოველი მოთხოვნა ამის შემდეგ კრიტოსის მთავრობისადმი წარდგენილი გამოიწვევს სერიოზულ მღელვარებას, რომელსაც დაუყოვნებლივ მოყვება კრიტოსის ახლოს მდგომი სამხედროაგენტთა რიცხვის გამრავლება.

ათინა. საბერძნეთის პასუხი ოსმალეთის მიერ წარმოდგენილ ნოტაზე 27 ივლისს ნაშუადღევს გადაეცა ოსმალეთის ფლს. ნოტაში ოსმალეთის საჩივარის შესახებ ნათქვამია, რომ საბერძნეთი ყოველთვის ხელმძღვანელობდა ოსმალეთთან კარგი დამოკიდებულობა ჰქონებოდა. ნოტაში მოხსენებულია აგრეთვე, თუ როგორი აღფრთოვანება გამოიწვია იქ—ოსმალეთში ახალი რეჟიმის დამყარებამ. იმის დასამტკიცებლოთ, რომ საბერძნეთის არ აქვს ოსმალეთის მიმართ მტკრული განწყობილება, რასაც მას აწერენ—ნოტაში ნათქვამია, რომ საბერძნეთმა კრიტოსის საკითხის მოწესრიგებაში ოსმალეთის წინადადების თანხმით ყოველივე ღონისძიება მიიღო. ამასთანავე, ნოტაში ნათქვამია, რომ ვინაიდან კრიტოსი ამჟამათ სახელმწიფოების მფარველობის ქვეშ იმყოფება, საბერძნეთს შეუძლია

მხოლოდ მათ მიანდოს კრიტოსის საკითხის გადაწყვეტა. საბერძნეთში ამჟამათ არ არის საანგქისო მოძრაობა, პირიქით, ის ყოველთვის თავზაიანათ და კანონიერათ მოქმედებდა. დასასრულ ნოტა იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთი ახსნა-განმარტება მოსპობს ყოველგვარ გაუგებრობას და ხელს შეუწყობს ამ ორ სახელმწიფოთა შორის სასურველ დამოკიდებულობის განმტკიცებას საერთო საქმის და ბედნიერების ნიადაგზე.

სტამბოლი. საბერძნეთის პასუხმა, უმეტესათ განცხადებამ, რომ მას არ სურს კრიტოსის შეერთება, აქ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. პასუხს ხვალ განიხილავენ მინისტრთა საბჭოში. კომპეტენტურ წრეებში ირწმუნებიან, რომ მოსალოდნელი საფრთხე მოისპოა.

დღეს რუსეთის და საფრანგეთის საელჩოებში მიღეს ოსმალეთის საწავნიკები. რუსეთის საელჩოში იყვენ ფინანსთა მინისტრი ჯგუფადი და შინაგან საქმეთა. ორივემ განუცხადეს პეტერბურგის დევანთა სააგენტოს კორესპონდენტს, რომ ოსმალეთი არავითარ შემთხვევაში ომს არ დაიწყებდა.

რუსეთი

ნოვოგოროდოვი. ბარანოვიჩის ფოსტის კანტორის თავდამხმელთაგან ორი მოკლეს და ერთი დასტრეს და დაიჭირეს. თავდამხმელებმა მოკლეს ჟანდარმი და რკინის გზის მეისრე, დასტრეს ისპრავნიკი და ერთი გარეშე პირი.

სოსნოვიცი. სოფელ სემონიაში 25 ივლისს 5 შეიარაღებული ბოროტ-გამზარაბელი თავს დაესხა ქსენდის სახლს. ქსენდი მიიბთ დასტრეს. მსუბუქათ დაიჭრა მსროლელიც. ბოროტ-გამზარაბელებმა რა დანიახეს, რომ გლეხები დაედევნენ, მოკლეს დაჭრილი ამხანაგი და გაიქცენ.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერით ავთ გახდა 41, მოკვდა 12, არის 425.

არხანგელსკი. ავთ გახდა 5, მოკვდა 3, მარაში ავთ გახდა 1.

რიგა. მოკვდა ერთი.

იაროსლავლი გზაში ავთ გახდა 8, მოკვდა 3.

რიბინსკი. მარაში ავთ გახდა 9, მოკვდა 4.

არხანგელსკი. 27 ივლისს ავთ გახდა 6, მოკვდა 4; შენკურსკის მარაში ავთ გახდა 10, მოკვდა 5.

საზღვარ-პარეთი

სტოკჰოლმი. 27 ივლისს რკინის გზის მოძრაობა არ დარღვეულა. დღეში 15 მატარებელი დადის. მატარებლების რიცხვის სიმცირე გაფიცვის მიზეზით არ არის გამოწვეული, არამედ მოსალოდნელი ნაკლებობით. რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა არ უნდა მოხდეს. უკეთუ გაფიცვა მოხდა, მიღებულია ზომები მოძრაობა არ შეეფრხდეს.

ნიუ-იორკი. პეკინიდან დევანთ იტყობინებიან: ჩინეთმა აცნობა იაპონიას, რომ ის თანახმა ვადააკეთოს იაპონიამ აღწერა მუკდენის გზა იმ პირობით, რომ იაპონიამ უარი უნდა სთქვას რკინის გზაზე პოლიტიკურ უფლებებით სარგებლობაზე და აგრეთვე სამთო და სხვა პრივილეგიებზე. ჩინეთს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს აღწერა-მუკდენის კომერციული განვითარების, მხოლოდ წინააღმდეგია იაპონიის სამხედრო ზომების, რადგან უცხოეთის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერების მიზი აქვს მანკურიაში.

სოფია. სხვა და სხვა ხმების გამო თითქო მეფე ფერდინანდს განზრახვა ჰქონდეს კონსტანტინოპოლში მივიდეს, ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ ამის შესახებ ლაპარაკი ჯერ-ჯერობით მეტია, რადგან ჯერ მოლაპარაკებაც კი არ დაწყებულია სოფიასა და კონსტანტინოპოლის მთავრობებს შორის.

სტოკჰოლმი. 27 ივლისს ქალაქის რკინის გზაზე გამოუშვეს შეიდი ვაგონი. ვა-

ადგილობრივი პრესა

„ზაკავკაზი“ იმე ჩაეფლა ინტრიგებში და მითქმა-მოთქმაში, რომ ამის მეტი აღარაფერი ახსოვს. ხშირათ მიცემულ პასუხზე მეორეთ პასუხსაც თხოულობს და გაიძახის, პასუხი არ მოგციათო. ვერ ამოუკითხავს, რომ ამ ერთი კვირის წინეთ, 19 ივლისის ნომერში გამოავცხადეთ, რომ მიმინოსთან არავითარი საქმის დაჭერა რედაქციას არ სურსო. „ზაკ.“ კი ახლა გვეკითხება, ის თქვენი გაზეთის თანამშრომლოთ ითვლებათ თუ არა? რა სულელური კითხვაა! შეიძლება ვინმესთან ყოველი დამოკიდებულება შესწყვიტო და თანამშრომლოთ კი გვაედეს? ასეთი რამ „ზაკავკაზის“ რედაქციას თუ მოელანდება!

ასევე ითქმის ანტონ ფურცელაძეზეც. ჩვენ მისი გამოსვლა ამ ინციდენტ-





კორესპონდენციები

სოფ. ვეფრი (ქუთაისის მაზრა). დიდი გაჭირვება აღგია დღეს სოფლის მუშა ხალხს; აგერ თენახევიარზე მეტია, რაც წვიმა არ მოსულა და სიმინდები თითქმის სულ გადახმა და უდროვით გაყვითლდა.

აგერ კორესპონდენციები წელიწადი იქნება, რაც ცხენის წყლის შტო გამოიყვანეს ვეფრი-ღებმა, რომ სპორტობის დროს მოგზავნათ ყანების მოსარწყავად. აირჩიეს კაცები, რომელთაც მინდობილი აქვთ მოწყობა, რომ ყველას, ვისაც უშრომია და ფული დაუხარჯავს, თავის დროზე და რიგზე წყალი შეხედეს, მაგრამ, საუბედურათ, არჩეული კაცები ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას— ზოგს კორესპონდენციები წყალს და ზოგს იო ორი საათის მეტსაც არ უხრებენ და ართმევენ უკანვე; რასაკვირველია, ამნაირათ დაყენებული საქმიდან არაფერი სარგებლობა არ აქვთ იმასთან შედარებით, რაც ჯაფა და ხარჯი წყლის გამოყვანას მოაწოდებს და ამიტომ ხშირათ საყვედურები და ჩხუბი ტყდება ერთმანეთში; თავის თავად იბადება კითხვა: აქაც ხომ ქართობი არ მოქმედობს? ამნაირათ გამოყვანილი წყლით ვერ უსარგებლობა ეწვევება, რომ ცოტათი მაინც შეეშუსტებებია გაჭირვება ყანებისთვის; თვით საყანე ადგილები კი ძალიან დაშორებულია წყალს და ვერ უღდება.

დადგა რეაქცია თუ არა, ისევ იჩინა თავი იმ ძველმა არა-სასურველმა ზნე-ჩვეულებებმა, რომელნიც თითქმის მოისპოა განმანათლებლებელი მოძრაობის დროს, როგორც არის, მაგ., მიცვალებულის ტირილი, ქეფი დღესასწაულებზე და სხ. მიცვალებულის ქირსუფალი გასვენების დღეს იწვევს თავის ნათესავებს შორიდან და აგრეთვე თავის სოფლებს, უმართავს საილს, უმასპინძლებს რაც შეიძლება კარგათ, რომ თავი არ შეირცხვის თავის კეთილშეშობა და მიზნობაში. ქირსუფალს, გარდა იმისა, რომ ასეთი უბედურება დაატყდა თავს, დაეკარგა წვერი ოჯახისა, თან ის უბედურება ემატება, რომ ამდენი აუარებელი ხარჯი მიღის განურჩევლათ მისი შეძლებისა. ამით ის ასრულებს თავის სოფლის ზნე-ჩვეულებას. „გადასახურავი“, (?) რომელიც არის გამოგონილი, როგორც დახმარება ქირსუფლისათვის, არის შველის მის ხარჯებს და ამნაირათ, ვლიანდება ხშირათ შეგვედრივარ, რომ მიცვალებულის გასვენების შემდეგ ბევრი, ღვინით გაღებულნი დღინით ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ სახლებში.

ჩვენ სოფელში დღესასწაულობენ ყოველ წლისაც ივლისს, ელიობას. ამ სამი-ოთხი წლის წინათ, როგორც სხვა სოფლებში თავთავიანთი დღესასწაული, ისე აქაც, ელიობა თითქმის მოსპეს. იშვიათად შეხვდებოდი ამ დღეს იმისთანა ოჯახს, სადაც ქეფი და ლოთობა ყოფილიყო და თუ იყო, რამდენიმე ოჯახში, იგიც უფრო „მაღალ წოდების“ ოჯახებში, რომელთაც ვერ დაევიწყებთ ძველი მამაპაპური ტრადიციები. წელს კი ისეთ ოჯახს ვერ ნახავდი, რომ მოქეფივ სტუმრებით არ ყოფილიყო სხვის, ე. ი. ვინახსლეს ის, რაც უკვე სამი-ოთხი წელიწადი დაგმობილი ქონდათ. ზარალი დიდა ეძლევათ, მარა მათი შეხედულებით, ვინც იმ დღეს სტუმრებს არ მოიწვევს და ქეფს არ გასწევს, დიდი სირცხვილია, მეზობლებში გამოთიშვავა; და ამიტომ შეძლების მიუხედავად ყველა იწვევს აუარებელ სტუმრებს. თითქმის ერთი თვით ადრე იწყებენ შხადებას, ფული უნდა იშონონ. ბევრი ვალს იღებს, რომ მეზობლებს არ ჩამორჩეს. ყოველ ოჯახში აუარებელ ღვინოს სვამენ, რომელიც რასაკვირველია, ნაყლია ერთი ორათ ძვირათ, რადგანაც არა თუ ამ დროს, შემოდგომამდეც ვერ იშოვნით საქარის ღვინოს ეწვერით.

ელიობას, დიდი ქეფობა გაიმართა ჩვენს სოფელში. სამი დღის განმავლობაში სახლში და ქუჩებში მომღერალ მთვრალ ხალხს გვერდს ვერ აუვლიდი. გეგონებოდათ ამ სოფელს მტერი შემოსევია და ამოკლეს უპირისპირა. რასაკვირველია, ამნაირი საერთო ქეფის დროს ხშირათ მოხდება ჩხუბი და ხანჯლების ტრაილი, ქალბის წვილი-კვილი და სხვ.

ნუ თუ არ უნდა ჩაუფიქრდეთ ამ გარემოებას და მოვიშორათ თავიდან ეს ყოველ მხრივ მავნებელი ჩვეულება?

დღი მითქმა-მოთქმა გამოიწვია აქ ყველა გადმოსახლებულთ შორის ახალი გუბერნატორის დანიშნვამ. ბევრი ელოდა, რომ ის მოსვლისთანავე ბევრნაირ რეპრესიებს მიიღებს გადმოსახლებულების წინააღმდეგ და ეს მართლაც ასე მოხდა.

მოსვლისთანავე გუბერნატორი შეუდგა გადმოსახლებულების შეეწროვებას. მან შეიმუშავა პროექტი და წარუდგინა მინისტრთა საბჭოს. ამ პროექტში მან ასწერა პოლიტიკურ გადმოსახლებულების კარგი ცხოვრება და მოითხოვა მთავრობის დახმარების შემცირება.

მეორე მხრით შეუდგა პოლიტიკურების ქალაქებიდან თითო ოროლოთ გაძევებას და გზავნას ჩრდილოეთ მაზრებისაკენ.

მისის პირველ რიცხვებში ქალაქ ტობოლსკში ერთმა გადმოსახლებულთაგანმა მოკლა რევოლვერით 1-ლი კატარლის უფროსი. მკვლელი დაპატიმრებული იქნა. იმ საათშივე, გუბერნატორმა მეორე დღესვე გამოსცა ფირცხელი განკარგულება, სადაც უცხადებდა გადმოსახლებულებს 3 დღის განმავლობაში დატოვებით ქ. ტობოლსკი და წასულიყვენ თავიანთი ნებით. — „По приходному свидѣтельству“ ჩრდილოეთ მაზრებში ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა დაპირულთ ეტაპით გაგზავნილია. ვინც შესძლო ე. ი. ვისაც ებდა საღსარი ზოგი წყლით ნაგებით, ზოგი ფეხით, ზოგიც, ვინც დარჩა, ეტაპით გაუდგენ გზას ჩრდილოეთ მაზრებისკენ. მათ დინიშნულ ადგილამდე არის 500—800 ვერსამდე. ასე ამ რიგათ, ერთი დავრით გარეკა 300—350 კაცი ქ. ტობოლსკიდან ჩრდილოეთის გაყინულ ტუნდრებში, სადაც მათ თათს გვარ დაბრკოლებასა და დამცირებასთან ერთად ელისთ სასტიკი სიმშლი. ბევრი მათ შორის ცოლშვილიანია. ბევრი მათ შორის მოხლებია, ექიმები, ადვოკატები, სტუდენტები. ეს პირები ქ. ტობოლსკში როგორც გუბერნიის ქალაქში, როგორც იყო, თავს იჩინდნენ თავიანთი პრფესიების წყალობით. ამ დღებში აქაც ე. ი. ქ. ტუნდრებშიც დაატუსაღეს 50 კაცი და ქალი გადმოსახლებულნი. ამათაც იქითგენ გზავნიან. მომავალი კიდევ უარესს გვიქადის.

მუშათა შორის

თფილისის სარდაფ-ტრაქტ. მუშათა ცხოვრებიდან. „ოქტომბრის დღებმა“ მუშათა ყველა დარგი გამოაღვიძა საერთო სიფხიზლემ არც თფილისის სარდაფ-ტრაქტორების მუშები დასტოვა ძილში. ამათაც მოიბოვეს სამუშაო დროს განსახლვრა, მიღებ-დათხოვნის უფლება, პიგიენტურათ მოწყობილი ბინა დაქირავებლების ხარჯზე და სხვა. როგორც მათ ეს შეღავათები მოიგეს და თავისუფალი დროც ხელს უწყობდათ, მართალი უნდა ითქვას, რომ ტყვილათ არ უფლანგიათ. პრფესიონალური კავშირი, რომლის გარშემოც თავი მოიყარეს სარდაფის მუშებმა, იბრძოდა არა მარტო უფლებების მოპოვებისთვის, არამედ მთელ ძალ-ღონეს ანდომებდა მოეპოო მუშებს შორის ყოველივე მანვე ზნე-ჩვეულებები. „კავშირის“ ასეთ ტრაქტიკას უნაყოფოთ არ ჩაუვლია: მოისპო თბობა, კარტის თამაში, ქურდობა და სხვა ასეთი დასაგმობი, მარა თანდაყოლილი ჩვეულებანი. მუშებმა იწყეს ორგანიზაციული მუშა-

ობა და მოწინააღმდეგეებსაც აიძულებდნენ ანგარიში გაეწიათ მათთვის. „სირაჯულ ხრიკებს“ ნაკლები ვასავალი ჰქონდა. „მამა-შვილურ“ დამოკიდებულებაზე ფიქრი დაქირავებულ-დაქირავებულთა შორის, მხოლოდ ოცნება იყო. მუშები აწარმოებდნენ შეგნებულ კლასობრივ ბრძოლას და ყოველ დროს, როცა კი შეერთებული იბრძოდნენ—გამარჯვებულ-გამარჯვებულად. მათ უკუ აქციეს, მაგალითად 1907 წლის დამლევეს „სამთვლიური“ ლოკაუტი. ლოკაუტის წინააღმდეგ გაფიცვაში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 900—კაცმა გამარჯვებული გამოდიან. ასეთი მათი უმავალითა გამარჯვება, სამწუხაროთ, დიდხანს გამარჯვებით არ დარჩა. მწვევდება ეკონომიური კრიზისი, რომელშიც მუშათა ყოველივე დარგს თავისი ბეჭედი დასვა. ზედ ერთვის პოლიტიკური რეპრესიები— დევნა ყოველ გვარ ორგანიზაციისა, „ხაზინებიც“ ვეღარ ითმენენ“ მუშების ამდენი ხნის „ბატონობას“ და თავიანთ მხრითაც ილაშქრებენ მათ წინააღმდეგ— ამ მოხერხებულ დროს. საქირაა ორგანიზაციული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ სწორეთ ამ დროს ერთი მხრით მუშებს უსუსტდებათ ძირითადი ორგანიზაციები, მეორე მხრით თფილისის სასტუმრო-რესტორანების მოსამსახურეთა ხელმძღვანელ დაწესებულებებიც, სადაც სარდაფის მუშებიც მკიდროთ იყვენ დაკავშირებული, ირღვევა დამოუკიდებელი მიხეხების გამო. ამნაირათ, ყოველიმხრით შეეწროვებულ კავშირი ინგრევა. კავშირის უქონლობის გამო მუშათა ნაწილი უბრძოლველათ ჰყრის ფარხმალს, ამათ ყოველივე უფლებებიც ეკარგვის: თუ წინეთ ორი რიგი დილის 6 საათიდან საღამოს 11-სათამდე მუშაობდა, დღეს მხოლოდ ერთ რიგს უხდება 5 დან 12-სა და ხშირათ პირველ საათამდე მუშაობა. გიგანური ბინის ნაცვლად ბნელ-ნესტიან და ჯანმრთელობის მომწვეველ სარდაფში ბოკა-ტიკორების გვერდით ძილი, ბარბაროსული—მოპყრობა და სხვა-ი მათი დღევანდელი „შრომის პირობები“. — მეორე ნაწილს უფრო მსხვილ დაწესებულებებში თუმცა ჯერ კიდევ არ დაუკარგავს ყველა უფლებები, მაგრამ ისე ეკრძათ, უკავშიროთ განაგრძობენ წინააღმდეგობის გაწევას, განა მათაც პირველის ბედი არ მოელოათ?.

მუშები დასუსტდნენ, ხაზინებიც ხედვენ ამას და უკანტროლოთ გადადიან მალაყებს მათ ზურგზე. საქმე კი მხოლოდ ამასშიც არ არის, მთავარი ის არის, რომ

ზოგიერთი გამარჯვებულთაგანი დღეს-იყრიან ჯაგარს მოწინავე მუშებზე და იმ პირებზე, ვისაც რაიმე დამოკიდებულება ჰქონიათ მუშებთან წინე. მოვიყვანთ მაგალითს: ვოგზლის ქუჩაზე მოვაქრე, დენის საწყობის პატრონ ბ. კარაპეტე, სააკოვზე გასულ ვაზ. „ცხოვრების სარკეში“ ერთი წერილი დაიბეჭდა, სადაც მოყვანილი იყო ხსენებულ ვაგ-პატრონის „საქმენი საგმირონი“. ბ. სააკოვს დღემდე მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მხოლოდ დღეს აღბათ არსებულ პირობებით გათამამებულსა მოუნდომებია კორესპონდენტთან გასწორება. ივლისის პირველ რიცხვებში ის კიდევაც გაუსწორდა წერილის ავტორს „ამ დროულათ“. სააკოვმა ასეთი „სანაქებო“ საქმენი უკეთესი დროეშიაც ჩაიღინა, მაგრამ თუ წინეთ ბნელაში მალულად მოქმედებდა დღეს მას დღის სინათლეშიც მშენებრათ ასრულებს. ჩვენ უძლურებით ასე არის წათამამებული. აი, რა არის ჩვენთვის უფრო სამწუხარო.

ნოვოროსისკი

ცემენტის ჭახხას. თუმცა დღევანდელ ხანაში ქართველები საშიშარ ეროვნებათ ყავს ყველას წარმოდგენილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხსენებულ ადმინისტრაციის კეთილ უნებუნა და ყავს ქართველებიდან შემდგარი არტელი რიცხვით 36 კაცი. ხსენებული არტელი, კარგ პირობაშია ჩაყენებული. მასთან, რადგან არტელი თავიანთ სამუშაოს ვერ აუღის, ამისათვის აქ ზაფხულობით მოდიან სხვადასხვა კუთხიდან. ჩამოსულ უადგილო მუშებს აძლევენ ადგილს და დღიურათ ამუშავებენ. მეტათ ცუდ პირობებში უხდებათ დღიურ მუშებს მუშაობა. არტელის წევრები ფეხქვეშ თელავენ იმათ უფლებებს. აი მაგალითიც, აქ დღიურ მუშების რიცხვი მუშაობდა ერთი პატროსანი მუშა, ი. ლ. ამას წინეთ მას სრულიად მოულოდნელათ ესტუმრა სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, შემოაღნიშრულ არტელის წევრები და გადაჭრით გამოუცხადეს 24 საათში ნოვოროსისკიდან გადიო. ი. ლ., რასაკვირველია, უარით უბასუხა. თან სთხოვა კომისიის წევრთ მიიწვიონ იგი კომისიის კრებაზე, რომ თავი იმართლოს და გააგებინონ რაში სდებენ ბრალს. მას არ დაეთანხმენ. ი. ლ. ურჩობა დააბრალეს და სასტიკით უნდოდათ დაესაჯათ აქსენტრი კვაქანტირამის წინადადებით. შეგნებული მუშები, რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი გახდნენ. ერთი მუშის წინადადებით ხელახლათ ამორჩეულ იქნა კომისია ექვსი კაცისაგან, რომელმაც ი. ლ.—ს ხელმოერეთ

გამოუცხადა, თუ არა გასულხარათ ნოვოროსისკიდან დანიშნულ კლავი სასტიკ ზომებს მივმართავთ. ი. ლ.— დღიურ მუშებს. მოგვმართა ჩვენ, რიცხვით 50-მდე კაცს, სახე-სახელი უცნობი ლ. მოთხოვნა: უფრო კიდევ ერთი ხუთი კაცი და გეუგზანენთ არტელის კომისიის. ჩვენ მოვითხოვდით საქმე გამოკვეთილიყო, ნამდვილი ცნობები შეეკრებოდა—ს შესახებ, მაგრამ როცა ჩვენ მიერ არჩეული კომისია მივიდა არტელის კომისიისთან და გადასცეს უცვლელათ ჩვენი დანაბარები, იმათ უბასუხეს: თქვენ, დღიური მუშები, ჩვენთვის სრულიათ არაფერი წარმოადგენთ, ჩვენ თქვენთან არავითარი საქმე არ გვაქვს. ასე გამოისტუმრეს ჩვენი კომისია და ხსენებულ მუშაც იძულებული ვახდა ნოვოროსისკიდან გასულიყო.

არტელი შესდგება 36 კაციდან, ამათში დამსწრეთაგან არტელის კომისიის წინააღმდეგ წავიდა ი. კვაქანტირამე, ბ. ხინთიბიძე და ვ. ანდლოლაძე. არ დასწრებია პ. ელიაძე, მ. ლომთათიძე, ი. კოლანდაძე, დ. თავებრიძე და გიორგი სეფერეთლაძე. მზურვალე მონაწილეობას ღებულობს ამგვარ არა საკადრის საქმეში ავქსენტრი კვაქანტირამე. ეს ის გამოანალისია, რომელიც ამ სამი თვის წინეთ ჩვენებრ ქუჩაში იყო და შემდეგ არა საკადრის გზით არტელში იქნა მიღებული და ყოველგვარ ზომა-საშვალეებს ხმარობს, რომ სახელი „დამსახუროს.“ ზემიერი.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. დალიშვილიანი.

განცხადებანი

საბლის მკიმი

ს. ნ. მაცროსოვინი-სანოვიჩი. დაპლომის ვაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკით“ სამკურნალოების ფსებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დღამართი № 21 (50—4)

სიკვდილი

ბაღლინჯოებს.

ახალი საშუალება კლავიანი, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ მინუტში, რისთვისაც პირობას გაძლევთ. ჯერ არ ყოფილა ამგვარი საუკეთესო წამალი. ფლაკონი 85 კ. დარიზება თან ახლავს. ვგზავნით ფას-დადებთ. მოთხოვთ კლავიანი ახობადონა. ერთობა ეწვიათ ნაწილობით, ვინაშნაც ვერის მახლობლათ, ნეკრასოვის ქუჩა № 14. აფთიაქებს პროც. 30—10

პროკლენის ამხანაგობა რიგაში 1888 საზაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-საზავსიისთვის თფილისში სოლოდაკის ქუჩა, № 4. იყიდება ნარდათ და ცალობით დარეზინებული წყალგაუფალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიისა სულ იფ ფასამდე. დარეზინებული წამოსახაშები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის. დარეზინებული მატრია სხვადასხვა მიზნისათვის. რეზინის ღრუბელი. საყარცხლები რქის რეზინისაგან. № 4. ცალობით ვაჭრობა დელაიფაზე საუკეთესო გალოშების „პროკლენისკის“ № 2. (25—5—29)